ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახური

18 დეკემბერი 2024

N140603

ქ. თბილისი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

„შპს იაფი რემონტი“-სთვის წერილობითი გაფრთხილების სახით

პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ

„ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომ - კანონი) 26-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „სამსახური სუბიექტს რისკების მართვის სისტემის საფუძველზე შეისწავლის. რისკების მართვის სისტემაში არსებული და საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის მიერ მიწოდებული ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე სამსახური იღებს სუბიექტისათვის პასუხისმგებლობის დაკისრების თაობაზე გადაწყვეტილებას“.

რისკების მართვის სისტემაში არსებული და სსიპ - შემოსავლების სამსახურის მიერ მოწოდებული ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე, „შპს იაფი რემონტი“ (ს/ნ - 436037520, მისამართი: საქართველო, მცხეთა, ს. წეროვანი) (შემდგომ - სუბიექტი) წარმოადგენს სუბიექტს, რომელიც, კანონის მე-9 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, ვალდებული იყო წარედგინა 2023 წლის საანგარიშგებო პერიოდის ანგარიშგება.

კანონის მე-9 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, „სუბიექტი (გარდა არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირისა) ვალდებულია მისთვის ამ კანონით დადგენილი ფინანსური ანგარიშგება (მათ შორის, კონსოლიდირებული ანგარიშგება), მმართველობის ანგარიშგება (მათ შორის, კონსოლიდირებული ანგარიშგება), სახელმწიფოს მიმართ განხორციელებული გადახდების შესახებ ანგარიშგება და ამ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში აუდიტორული დასკვნა ერთად, დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს საანგარიშგებო პერიოდის მომდევნო წლის 1 ოქტომბრისა, წარუდგინოს სამსახურს მის მიერ დადგენილი წესით“. კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ტ“-„ქ“ ქვეპუნქტების კრიტერიუმების შესაბამისად, საწარმოს ზომითი კატეგორიის განსაზღვრა ხდება ანგარიშგების წარდგენის სისტემაში თავად სუბიექტის მიერ.

კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით: „სდპ, პირველი და მეორე კატეგორიების საწარმოები და პირველი და მეორე კატეგორიების ჯგუფები ვალდებული არიან უზრუნველყონ საკუთარი ფინანსური ანგარიშგების/კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი ამ კანონის მე-15 მუხლით გათვალისწინებული წესით, თუ შესაბამისი სფეროს მარეგულირებელი ნორმატიული აქტებით სხვა რამ არ არის დადგენილი“.

კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, „სდპ-მა და პირველი და მეორე კატეგორიების საწარმოებმა უნდა მოამზადონ და სამსახურს უნდა წარუდგინონ მმართველობის ანგარიშგება...“. ამავე მუხლის მე-12 პუნქტის თანახმად, „ამ მუხლის მოთხოვნები ვრცელდება იმ კატეგორიის ჯგუფებზე, რომლებიც აკმაყოფილებენ პირველი და მეორე კატეგორიების საწარმოთა კრიტერიუმებს“.

კანონის 26-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, ზემოაღნიშნული დარღვევა იწვევს სუბიექტის დაჯარიმებას, ხოლო ამავე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე, „ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული სამართალდარღვევებისთვის სამსახურმა შეიძლება სუბიექტის მიმართ ფულადი ჯარიმის ნაცვლად წერილობითი გაფრთხილება გამოიყენოს…".

კანონის მე-9 მუხლის მე-2 პუნქტის, 23-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.ა" ქვეპუნქტისა და 26-ე მუხლის მე-2 და მე-4 პუნქტების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. სუბიექტს მიეცეს წერილობითი გაფრთხილება;
2. სუბიექტს დაევალოს წარადგინოს საწარმოს/ჯგუფის ზომითი კატეგორიისთვის კანონით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად მომზადებული ინდივიდუალური/კონსოლიდირებული ანგარიშგება (კანონით დადგენილ შემთხვევაში აუდიტირებული ინდივიდუალური/კონსოლიდირებული ფინანსური და მმართველობის ანგარიშგება აუდიტორის მოსაზრებასთან ერთად, სრულად ერთ დოკუმენტში) ბრძანების გაცნობიდან 1 (ერთი) თვის ვადაში;
3. ეს ბრძანება ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის საბჭოში (მის: ქ. თბილისი, გორგასლის ქ. N16) ან თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი N64).

დავით მჭედლიძე

სამსახურის უფროსი

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხვედველობის სამსახური